ქართული საგანმანათლებლო სისტემის მოკლე ისტორიული მიმოხილვა

ნინო კუპრაშვილი

ძველი ბერძენი ისტორიკოსებისა და გეოგრაფების ჩანაწერები მოწმობს, რომ ანტიკურ საქართველოში იყო „აყვავებული ქალაქები“, შესანიშნავი საზოგადოებრივი შენობებით, „გიმნასიონებით“. ანტიკური განათლების გავრცელებასა და მეცნიერული აზრის შემდგომ განვითარებაში დიდი როლი შეასრულა მესამე საუკუნის მეორე ნახევრის კოლხეთის უმაღლესმა რიტორიკულმა სკოლამ. კოლხეთის უმაღლესი რიტორიკული სკოლა, კოლხეთის აკადემია, ფაზისის (ახლანდელი ფოთის) მახლობლად III-VI საუკუნეებში არსებული უმაღლესი საფეხურის სასწავლებელი იყო. მასზე ერთადერთი პირდაპირი ცნობა მოიპოვება ბერძენი ფილოსოფოსის თემისტიოსის (ცხოვრობდა და მოღვაწეობდა დაახლოებით 317-388) ერთ-ერთ წერილში, სადაც აღნიშნულია, რომ თემისტიოსის მამას, ევგენიოსს, და თვით თემისტიოსსაც ამ სასწავლებელში რიტორიკული განათლება მიუღიათ. არავითარი ცნობა არ არსებობს იმის შესახებ, თუ რა პროგრამებით და რა ენაზე მიმდინარეობდა სწავლება ან ვინ ასწავლიდა. თემისტიოსი არ ასახელებს კოლხეთის უმაღლესი რიტორიკული სკოლის დამაარსებელს, თუმცა მას „ბრძენს“ და „სათნოს“ უწოდებს. კოლხეთს კულტურულად დაწინარურებულ ელადას ადარებს. იმ დროს განსწავლა ათენშიც შეიძლებოდა, მაგრამ სპეციალური რიტორიკული სკოლა მხოლოდ კოლხეთში არსებობდა. ამ სასწავლებელში განუყოფელი იყო ფილოსოფია და მჭევრმეტყველება. თემისტიოსი იმასაც ამბობს, რომ კოლხეთის უმაღლესი რიტორიკული სკოლაში მეზობელ ბარბაროსთა წესებისდა მიხედვით ისართ ტყორცნა და ოროლთ სროლა ან ჯირითი კი არ ისწავლებოდა, არამედ ამ სკოლის აღსაზრდელები რიტორიკულ ხელოვნებაში იწრთობოდნენ და ელინთა დღეობებზე ბრწყინავდნენ. ამ ცნობას არსებითი მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც კოლხეთის უმაღლესი რიტორიკული სკოლის აღზრდილების ბერძნულ ენაში გაწვრთნილობასა და კლასიკურ ბერძნულ ლიტერატურაში საფუძვლიან განსწავლულობაზე მიუთითებს. რიტორიკულ სასწავლებელში იღებდნენ ბერძნული ენის მცოდნე ახალგაზრდებს. ეს კი გვაფიქრებინებს მოსამზადებელი სკოლის არსებობასაც. თემისტიოსის ცნობიდან ისიც ჩანს, რომ კოლხეთის უმაღლესი რიტორიკული სკოლა თავისი შინაარსითა და მიზანმიმართულებით ძვ. ბერძნულ და რომაულ რიტორიკული სკოლებისაგან ბევრად არ უნდა განსხვავებულიყო და ცოდნის იმ მინიმუმის დაუფლებას მოითხოვდა, რაც ორატორისათვის ციცერონისა და კვინტილიანეს შეხედულებით იყო გათვალისწინებული. ისევე, როგორც რომაულ რიტორიკულ სასწავლებელში, კოლხეთის უმაღლესი რიტორიკული სკოლაში უთუოდ ასწავლიდნენ ლიტერატურას, ასტრონომიას, მუსიკას, მათემატიკის ელემენტებს, ძირითადად კი, ფილოსოფიისა და სამართლის საფუძვლებს, რიტორიკულ ხელოვნებას იმჟამინდელ საქართველოში დიდი პრაქტიკული გამოგონებაც ჰქონდა. აგათია სქოლაქტიკოსის (536-582) საისტორიო თხზულებაში დაცულია ცნობა ქართველი პოლიტიკური მოღვაწეების (აეტი, ფარტაზი და სხვა) ბრწყინვალე ორატორული გამოსვლების შესახებ, ცხადია, ეს ცოდნა კი მათ თანმიმდევრულად და საფუძვლიანი სწავლით უნდა მიეღოთ.

IV საუკუნეში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას მოჰყვა ეკლესიებთან სკოლების გახსნა. მაგრამ მალე უცხო დამპყრობთა შემოსევებმა, განსაკუთრებით კი არაბთა ბატონობამ, დიდი ხნით შეაფერხა ქართული კულტურის განვითარება. განათლების აღორძინება და ინტენსიური განვითარება დაიწყო XI-XII საუკუნეებში, დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ხანაში. ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანება და გაძლიერება, ეკონომიკური წინსვლა და აღმავლობა ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა კულტურის შემდგომი განვითარებისთვის. ამას მოწმობს XI-XII საუკუნეებში პირველი სასწავლო-სამეცნიერო და კულტურურ-საგანმანათლებლო ცენტრების არსებობა აკადემიებში.

შეიქმნა მეცნიერებისა და განათლების ისეთი კერები, როგორებიც იყო გელათისა და და იყალთოს აკადემიები. გელათის აკადემია, ძველი ქართული სასულიერო სასწავლებელი, დაარსდა 1106 წელს გელათის მონასტერთან დავით აღმაშენებლის ინიციატივითა და ხელშეწყობით. დავითმა გელათის აკადემიაში სამოღვაწოდ შეკრიბა სწავლული ქართველები, რომელთა შორის იყვნენ იოანე პეტრიწი და არსენ იყალთოელი. თანამედროვენი გელათის აკადემიას „ასუად ათინად“, „აღმოსავლეთის მეორე იერუსალიმად“ იხსენიებდნენ. აკადემიის სათავეში იდგა მოძღვართ-მოძღვარი. სასწავლო პროგრამა ძირითადად ტრივიუმის (გეომეტრია - „ქვეყნის საზომლოჲ“, „არითმეტიკა“ - „რიცხუნი“, მუსიკა - „სამოსოჲ“) და კვადრიუმის (ფილოსოფია სამი სახის - „საქმეთი, მხედველობითი და განმსიტყუელობითი“, რიტორიკა სამი სახის - „თანაშრახველობისა, მეპაექრობისა და

დღესასწაულობისა“, გრამატიკა და ასტრონომია - „ვარსკვლავთმრიცხველობაი“) ციკლის საგანთა შესწავლას ითვალისწინებდა. გელათის აკადემიაში არსენ იყალთოელს სჯულისკანონი, იოანე პეტრიწს - ნემესიოს ემესელის თხზულება „ბუნებისათის კაცისა“. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბერძნული ენიდან თარგმნილი იოანე ქსიფილინოსის ჰაგიოგრაფიული კრებული, რომლის ორიგინალი დაკარგულია. სამეცნიერო-მთარგმნელობითი მოღვაწეობა გელათის აკადემიაში მომდევნო საუკუნეებშიც არ შეწყვეტილა, თუმცა საგრძნობლად შენელდა. XIII საუკუნეში აქ მოღვაწეობდნენ ჰიმნოგრაფი არსენ ბულმაისიმისძე, ფილოსოფოსი და რიტორი პეტრე გელათელი. XIV საუკუნეში გელათში შეიქმნა მნიშვნელოვანი იურიდიული ძეგლი „გარიგება ჭელმწიფის კარისა“ და საისტორიო წყარო „გელათური ქორონიკონი“.

იყალთოს აკადემია იყო უმაღლესი სასწავლებელი XI-XII საუკუნებში საქართველოში. ამას ადასტურებს მონასტრის ეზოში შემორჩენილი შენობის ნანგრევები, რომელიც საერო დანიშნულების ნაგებობას უფრო ჰგავს, ვიდრე სამონასტროსი. ნანგრევებში ჩანს კათედრის ფუძე, დამახასიათებელი თაჩა-ფანჯრები. შენობა მონუმენტური უნდა ყოფილიყო, გელათის აკადემიის შენობის მსგავსი, იმ განსხვავებით, რომ იყალთოს აკადემიის შენობა ორსართულიანია. იყალთოს აკადემიის პირველი რექტორი იყო არსენ იყალთოელი, რომელიც აქ გელათიდან გადმოსულა. ქართული აკადემიებში, კერძოდ, იყალთოს აკადემიაშიც სწავლება ძირითადად ტრივიუმ-კვადრივიუმის ციკლის საგნებს ითვალისწინებდა. ანუ ღვთისმეტყველება, რიტორიკა, ასტრონომია, ფილოსოფია, გეოგრაფია, გეომეტრია, გალობა და ა.შ. ისწავლებოდა აგრეთვე მჭედლობა, კერამიკა („მეკეცეობა“) და მევენახეობა-მეღვინეობა. ზენონი მონასტრის მარჯვენა მხარეს არის დაკრძალული, აკადემიის სიგრძე 73 მეტრია, აქედან 15,22მ. საწნახელია. მას აქვს ძველი და ახალი ნაწილი, სულ ორი საწნახელი იყო და შემდგომში მიაშენეს მესამეც. ერთი ოთახის იატაკში თერთმეტი ქვევრია ჩაფლული, მეორე უფრო განიერი ოთახია. ყველაზე მეტად შენობის ჩრდილოეთი ფასადი არის დაზიანებული, არქეოლოგიური გათხრების შედეგად იქ აღმოჩენილ იქნა ფირუზის ფერი კრამიტები, ასეთები მხოლოდ ეკლესია მონასტრებთან გვხვდება. იყო ასევე საჭურჭლე ქარხანა, რომელიც მონასტრის გარეთაა. 1938 წელს შენობის გაწმენდის დროს აღმოაჩინეს ბუხარი, რომლის წინა ოთახი სამჭედლო ყოფილა.

უაღრესად მნიშვნელოვანი იყო ქართული კულტურის მნიშვნელოვანი კერები საქართველოს საზღვრებს გარეთ: ათონის ივერთა მონასტერი საბერძნეთში, პეტრიწონის მონასტერი ბულგარეთში და სხვა. XIII საუკუნიდან მოყოლებული, ჯერ მონღოლთა ბატონობამ, ხოლო შემდეგ ირანისა და ოსმალეთის გამაპარტახებელმა შემოსევებმა დააქვეითეს და დასცეს კულტურა და განათლება საქართველოში.

XVII საუკუნის II ნახევრიდან შეიქმნა პირობები საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული გამოცოცხლებისთვის. XVIII საუკუნეში სახალხო განათლება ხელისუფლების საქმედ იქცა, რამაც სათანადო შედეგი გამოიღო - 1755 წელს გაიხსნა თბილისის, 1782 წელს კი თელავის სემინარია, ითარგმნა და შეიქმნა სახელმძღვანელოები.

საქართველოს რუსეთთან შეერთება აისახა განათლების, მეცნიერებისა და ქართული კულტურის განვითარებაზედაც. 1855 წელს საქართველოში 150-მდე სასწავლებელი არსებობდა, მათ შორის თბილისის პირველი გიმნაზია, კეთილშობილ ქალთა სასწავლებელი (ამჟამად 47-ე საჯარო სკოლა), ქუთაისის ვაჟთა გიმნაზია და სხვა. 1876 წელს გაიხსნა გორის საოსტატო სემინარია, რომელმაც დიდი როლი შეასრულა არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი ამიერკავკასიის პედაგოგთა კადრების მომზადებაში. ქართველი პედაგოგიკის მამამთავარი იაკობ გოგებაშვილი მთელ თავის ძალასა და ნიჭს ახმარდა სახალხო განათლების საქმეს და მოზარდი თაობის აღზრდას ხალხურობისა და დემოკრატიზმის პრინციპებზე. გოგებაშვილის კლასიკურ სახელმძღვანელოებზე „დედა ენასა“ და „ბუნების კარზე“ აღიზარდა მრავალი თაობა. ი. გოგებაშვილი იყო ინიციატორი და ერთ-ერთი ხელმძღვანელი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა , რომელიც არსებობის 40 წლის განმავლობაში პროგრესული განათლების შტაბს წარმოადგენდა. საზოგადოებამ და მისმა გამგეობამ დიდი მუშაობა ჩაატარეს სახალხო სკოლების გასახსნელად არა მარტო საქართველოში, არამედ საქართველოს საზღვრებს გარეთაც: ელადიკავკაზში, ბაქოში, ნალჩიკში და სხვ.; ახალი სახელმძღვანელოებისა დასაბაშვო ლიტერატურის შესაქმნელად; 1914/15 სასწავლო წელს საქართველოში არსებობდა ერთკლასიანი (სწავლების ხანგრძლივობა 3 წელი), ორკლასიანი დაწყებითი სასწავლებლები, უმაღლესი დაწყებითი სასწავლებლები, ქალთა ხუთწლიანი სასწავლებლები, სპეციალური სასწავლებლები, გიმნაზიები (მათ შორის 2 ქართული: თბილისის და ქუთაისის), პროგიმნაზიები, რეალური სასწავლებლები, სამასწავლებლო, სასულიერო, საძრევლო და სხვა სასწავლებლები. ერთი კერძო უმაღლესი სასწავლებელი - ქალთა უმაღლესი კურსები.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის და XX საუკუნის დასაწყისი უმაღლესი განათლების ახალ ეტაპს წარმოადგენს საქართველოში. XIX საუკუნეში წარმოშობილი იდეა - უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის ჩამოყალიბების შესახებ - განხორციელდა პეტერბურგის უნივერსიტეტის დოცენტის, ივანე ჯავახიშვილის დიდი ძალისხმევით.

შუა საუკუნეების ევროპაში სავალდებულო სახელმწიფო სწავლების საკითხი საერთოდ არ წამოჭრილა. სწავლება საეკლესიო სკოლებსა და უნივერსიტეტებში, კერძო სკოლებსა და სახელოსნო სასწავლებლებში მიმდინარეობდა. სავალდებულო სახელმწიფო განათლების დამკვიდრებისკენ პირველი ნაბიჯები უშუალოდ რეფორმაციის დროს გადაიდგა. მთავარი მამოძრავებელი ძალა მარტინ ლუთერი იყო, რომელიც საზოგადოებას ერთავად სახელმწიფო სკოლებისა და სავალდებულო სწავლებისკენ მოუწოდებდა. ლუთერის მიერ გერმანელ ხელისუფალთათვის 1520 წელს მიწერილ ცნობილ წერილს ეტატისტური შინაარსი და ასეთივე დასკვნა ჰქონდა: "ძვირფასო ხელისუფალნო,...ჩემი აზრით, სამოქალაქო ხელისუფლება ვალდებულია, ხალხს ბავშვების სკოლაში გაგზავნა აიძულოს, თუკი მთავრობა სამხედრო სამსახურისთვის ვარგის მოქალაქეებს ომის დროს იარაღის ასხმას, ციხესიმაგრეების აგებას და სხვა სამხედრო მოვალეობათა შესრულებას აიძულებს, როგორ არ უნდა ჰქონდეს მას იმის უფლება, რომ ხალხს ბავშვების სკოლაში გაგზავნა აიძულოს, თუკი ამით ეშმაკს შევებრძოლებით, რომელიც უჩუმრად ცდილობს, ჩვენს ქალაქებსა და სამთავროებს ძლიერი ადამიანები გამოაცალოს".

1524 წელს გოთის გერმანულმა სახელმწიფომ პირველი თანამედროვე სახელმწიფო სკოლები დააარსა, რასაც 1527 წლიდან ტიურინგიაც მოჰყვა. თვითონ ლუთერმა საქსონიის სასკოლო გეგმა შეადგინა, რომელიც, მოგვიანებით, გერმანიის პროტესტანტულ სახელმწიფოთა უმრავლესობაში სახელმწიფო განათლების სისტემას დაედო საფუძვლად. ეს გეგმა, რომელიც ყველა სოფელსა და ქალაქში სახელმწიფო სკოლების გახსნას გულისხმობდა, ლუთერის გამორჩეული მოსწავლის — მელანქტონის მოშზადებული ბრძანების მიხედვით პირველად 1528 წელს ამოქმედდა საქსონიაში.

A brief historical review of Georgian educational system

S u m m a r y

The paper reviews history of Georgian educational system and reveals Georgian thinking attitudes to the USA political, social, economical and cultural - educational life. The article indicates the history of Georgian culture in Georgia and abroad as well.

The paper refers to the development of higher education basis in Georgia and its relation to the same issues really existed in foreign countries in this regard.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ს. გამსახურდია, სწავლა-განათლება ძველ საქართველოში, თბ., 1975;
2. შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. I, თბ., 1956;
3. ს. ყაუხჩიშვილი, რიტორიკული განათლების ცენტრი ძველ კოლხეთში, "საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე", 1940, ტ. 10 B.
4. www.wikipedia.org
5. გიორგი გაჩეჩილაძე, "საქართველოს პოლიტიკური სტრატაგემა ილია წავჭავაძის წერილის – "ევროპის მილიტარობა და ამერიკის მერმისის" – მიხედვით. საიუბილეო კრებული "ილია ჭავჭავაძე 170".
6. რუსუდან დაუშვილი, საქართველო და ამერიკის შეერთებული შტატები 1860-1920-იან წლებში, www.iberiana.wordpress.com
7. ჟონკო, ახლანდელი ამერიკა, ჟურ. "კრებული", 1873, # 8.
8. 8. მარი წერეთელი, ამერიკული ღირებულებები ქართულ პუბლიცისტურ ტექსტებში (XIX-XX საუკუნეების გამოცდილებიდან) "ინტელექტუალი" 2010 №14.
9. მანანა გაბრიჭიძე, დიმიტრი მეტრეველი – მრეწველი ალასკასა და კანადაში, კვირის პალიტრა, 21.10.2011.
10. ირაკლი მახარაძე, "ქართველები ამერიკაში", თბ. 2011.